,,სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება

კანონის სათაური:

,,სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვის ორგანიზებისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის წესებს.
2. ამ კანონის მიზანია საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვის მართვის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, სამობილიზაციო რესურსის (რეზერვისტების) ოპტიმალური გამოყენება, რეზერვისტების მომზადების და სამხედრო ძალებისათვის კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სამხედრო ძალების რეზერვის დანიშნულება

სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად.

მუხლი 3. სამხედრო სარეზერვო სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტები

სამხედრო სარეზერვო სისტემა ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული თავდაცვის გეგმის, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 4. სამხედრო სარეზერვო სამსახურის სახეები

1. სამხედრო სარეზერვო სამსახურის სახეებია:
ა) აქტიური სარეზერვო სამსახური (აქტიური რეზერვი);
ბ) სამობილიზაციო სარეზერვო სამსახური (სამობილიზაციო რეზერვი).
2. აქტიური რეზერვი შედგება:
ა) შეიარაღებული ძალების რეზერვისგან;
ბ) ტერიტორიული რეზერვისგან;
გ) სპეციალისტთა რეზერვისგან.

მუხლი 5. სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირის ასაკი

სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირის ასაკია:
ა) შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხული პირისა – 50 წლამდე;
ბ) ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხული პირისა – 55 წლამდე;
გ) სპეციალისტთა რეზერვში ჩარიცხული პირისა – 65 წლამდე;
დ) სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირისა – 60 წლამდე.

მუხლი 6. აქტიური სარეზერვო სამსახურის საერთო პირობები

1. აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითია.

2. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთან (აქტიურ რეზერვისტთან) ფორმდება კონტრაქტი.
3. პირი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ირიცხება აქტიურ რეზერვში და ითვლება სამხედრო სამსახურში გაწვეულად. აქტიური რეზერვისტი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს სპეციალური მომზადება, გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს მითითებულ დროსა და ადგილას, შეასრულოს კონტრაქტითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობები.
4. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირებს აღრიცხავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი (შემდგომ – გენერალური შტაბი) სამხედრო ძალების მოსამსახურეთა აღრიცხვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
5. პირი აქტიურ რეზერვში ირიცხება საკონტრაქტო სამსახურის რიგითის სამხედრო წოდებით (თუ არ აქვს სამხედრო წოდება) ან მინიჭებული სამხედრო წოდებით.
6. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მიიღება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კატეგორიის პირთათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მტკიცდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ნორმატიული აქტით.
7. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთა რაოდენობას, საქართველოს ეროვნული თავდაცვის გეგმისა და სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
8. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის გამოძახებას უზრუნველყოფს ის ქვედანაყოფი, რომელშიც აქტიური რეზერვისტი ირიცხება. პირის გამოძახება შესაძლებელია ტექნიკური ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირთა გამოძახების წესი მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით.
9. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის უფლებები და მოვალეობები, კონტრაქტის ვადა, შრომის ანაზღაურების პირობები, აგრეთვე კონტრაქტის არასაპატიო მიზეზით ვადამდე შეწყვეტისას პასუხისმგებლობა განისაზღვრება კონტრაქტით. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირთან გასაფორმებელი კონტრაქტის ფორმა მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით.
10. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს მისი წოდებრივი სარგოს 20%-ს, ხოლო გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში – შრომის ანაზღაურების სრულ ოდენობას. აღნიშნული პირის შრომის ანაზღაურების ხარჯები ფინანსდება სამინისტროს ასიგნებებიდან. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირს უფლება აქვს, უარი თქვას ამ პუნქტით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურებაზე.
11. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირის გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს, გარდა საომარი მდგომარეობისა ან საგანგებო მდგომარეობისა, აგრეთვე საგანგებო სიტუაციისა.

მუხლი 7. შეიარაღებული ძალების რეზერვი

1. შეიარაღებული ძალების რეზერვი იქმნება რეზერვისტის სამხედრო ძალების შემადგენლობაში დაუყოვნებლივ ჩართვის, მაღალი საბრძოლო მომზადების და საბრძოლო მზადყოფნის, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით.
2. შეიარაღებული ძალების რეზერვში მიიღება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურიდან, აგრეთვე სამართალდამცავი სისტემის/აღმასრულებელი ხელისუფლების

სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემის საბრძოლო ქვედანაყოფიდან დათხოვნილი პირი.

მუხლი 8. ტერიტორიული რეზერვი

1. ტერიტორიული რეზერვი იქმნება მცირე სამობილიზაციო დროში შეიარაღებული ძალების დამატებითი საბრძოლო მხარდაჭერის და საბრძოლო უზრუნველყოფის, რაოდენობრივი ზრდის და ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების მიზნით.

2. ტერიტორიული რეზერვი შედის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის (შემდგომ – ეროვნული გვარდია) შემადგენლობაში და ორგანიზებულია ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება სამანევრო ელემენტებისგან, აგრეთვე დასახული ამოცანებისა და გეოგრაფიული არეალისთვის მორგებული ტერიტორიული რაზმებისგან.

3. ტერიტორიული რეზერვი კომპლექტდება შესაბამის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველ ქალაქებში) რეგისტრირებულ პირთაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადავადებული აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური და რომლის ასაკი არ აღემატება 22 წელს, უფლება აქვს, იმსახუროს ტერიტორიულ რეზერვში. ერთი კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ მას სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება. კონტრაქტის არასაპატიო მიზეზით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აღნიშნულ პირს არ უნარჩუნდება სამხედრო სარეზერვო სამსახურში მიღებული წოდება.

მუხლი 9. სპეციალისტთა რეზერვი

1. სპეციალისტთა რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შესაბამისი სამოქალაქო სპეციალობის მქონე პირთაგან.

2. სამხედრო ძალების საჭიროებისათვის სამოქალაქო სპეციალობათა ნუსხას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით, ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

3. სპეციალისტთა რეზერვში შეიძლება ჩაირიცხოს მაღალი კვალიფიკაციის, შესაბამისი სპეციალობის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მუხლი 10. სამობილიზაციო რეზერვის დაკომპლექტება

1. სამობილიზაციო რეზერვის ძირითადი დანიშნულებაა სამხედრო ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსება.

2. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარება პირი, რომელიც:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილია რეზერვში და აქტიურ რეზერვში არ ირიცხება;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე ან 30-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით და რომელსაც შეუსრულდა 27 წელი ან რომელმაც აღნიშნული ასაკის

მიღწევამდე გამოთქვა სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვის სურვილი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. პირი, რომელიც სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვაზე, ჩაირიცხება „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში.
4. 60 წელს გადაცილებული პირი, თავისი სურვილის შემთხვევაში, შეიძლება დარჩეს ან ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში.
5. სამობილიზაციო რეზერვის დაკომპლექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები

მუხლი 12. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევა

1. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გაწვევა ხდება:

ა) საომარი მდგომარეობის დროს;
ბ) საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის დროს;
გ) სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმების ან/და რეზერვისტების მომზადების მიზნით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის:
ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და გაწვევის ვადას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი;
ბ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი. აღნიშნულ პირთა გაწვევის ვადა კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.
3. პირთა სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გაწვევა ხდება გენერალური შტაბის მიერ განსაზღვრული რაოდენობისა და კატეგორიის მიხედვით.
4. სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლის ადგილი განისაზღვრება გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი.
5. სამინისტრო უფლებამოსილია უზრუნველყოს სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირის შემკრები პუნქტიდან მიმღებ პუნქტში გადაყვანა, თუ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომ – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახური) აღნიშნული ფუნქციის დროულად განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს.

მუხლი 13. სამობილიზაციო რეზერვში გასაწვევ/გამოსაძახებელ პირთა რაოდენობა, კატეგორია და შერჩევის კრიტერიუმები

1. სამობილიზაციო რეზერვში გაწვევისათვის გასაწვევ/გამოსაძახებელ პირთა რაოდენობა და კატეგორია განისაზღვრება გენერალური შტაბის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო პირთა შერჩევის კრიტერიუმების

პრიორიტეტულობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირის გამოძახება ხდება ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტული სიის მიხედვით.

მუხლი 15. რეზერვისტების მომზადება

1. რეზერვისტების მომზადების მიზანია სასწავლო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გეგმაზომიერად ცოდნის მიცემითა და უნარ-ჩვევების გამომუშავებით:

ა) სამხედრო ძალებისათვის გაწვრთნილი, შესაბამისი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობებით მომზადებული, მაღალი პროფესიული დონის რეზერვის ჩამოყალიბება;

ბ) რეზერვის სამეთაურო რგოლის – ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის დაკომპლექტება, აქტიური მომზადება და გადამზადება;

გ) რეზერვისტების ინდივიდუალურად, მაღალ დონეზე მომზადება.

2. რეზერვისტის მომზადება ხდება მის მიერ სამხედრო შეკრების გავლის დროს, როდესაც რეზერვისტი გადის მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ სპეციალური მომზადების პროგრამას.

3. რეზერვისტების მომზადების დროს სათანადო ყურადღება ეთმობა რეზერვისტების ფიზიკური შესაძლებლობებისა და ფსიქოლოგიური დატვირთვის ატანის უნარის გამომუშავებას, რაც მათ მიერ დასახული ამოცანის წარმატებით შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.

მუხლი 16. რეზერვისტების მომზადებისათვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფები

სამხედრო სარეზერვო სამსახურისა და რეგულარული სამხედრო ძალების საბრძოლო უნარების თავსებადობის მიზნით აქტიური რეზერვისტების მომზადებას უზრუნველყოფენ სამინისტროს სისტემის შესაბამისი ქვედანაყოფები, ხოლო სამობილიზაციო რეზერვისტების მომზადებას უზრუნველყოფს ეროვნული გვარდია.